პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
კვირა 7 დეკემბერი
№ 281 (17923)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბინაო მშენებლობა სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლევანდელი გეგმის უცილობელი შესრულების საკითხი.

თათბირზე მიწვეული იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, აფხაზეთისა და აჭარის ასრ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო აღმასკომის, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მთელი რიგ უწყება-წამომწყებთა, ამიერკავკასიის რკინიგზის, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

თათბირის გახსნისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა თქვა, რომ „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ პროექტით დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული კაპიტალური მშენებლობის დარგში.

კაპიტალური დაბანდება საბჭოთა მეურნეობაში ხუთწლეულის მანძილზე 12-15 პროცენტით გაიზრდება. სამშენებლო სამინისტროების, ყველა მშენებლის ამოცანაა გამოიყენონ იგი უაირათიანად, მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტით. მეთერთმეტე ხუთწლედში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ საცხოვრებელი ბინების მშენებლებმა. პარტიამ დასახა ამოცანა — უახლოეს ათწლეულში უზრუნველყოფთ საზოგადოების შემდგომი სოციალური პროგრესი, განვაზორციელოთ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამა. მშენებლებმა, რომლებიც მხარს უჭერენ და იწონებენ ძირითად მიმართულებათა პროექტს, კიდევ უფრო ფართოდ უნდა გამალონ სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელური შრომით აღნიშნონ ყრილობის მუშაობის დაწყებამდე დარჩენილი თიმოეული დღე.

ამხ. კოლბინმა ხაზი გაუსვა, რომ დიდ შრომითს გამარჯვებას— საქართველოს მშრომელთა მიერ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებას მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს მშენებლებმაც, რომლებმაც ააგეს ენგურჰესის ხუთიათვე აგრეგატი, მეტალურგიის, ქიმიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ობიექტები, ბევრი საბინაო-სამოქალაქო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობა. წარმატებანი გვახარებს, მაგრამ ამასთანავე გვავალებს ვიმუშაოთ კიდევ უფრო უკეთ და ნაყოფიერად. „ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხის საკეთილდღეოდ!“ — პარტიის ეს ლოზუნგი მშენებლებისაგან მოითხოვს განახორციელონ ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესონ მუშაობა, უთუოდ შეასრულონ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა, ამასთან უზრუნველყონ მშენებლობის მაღალი ხარისხი, შექმნან საგაისოდ კარგი მარაგნამეტი.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ი. ავაშენცევი, რომელმაც გააკეთა ინფორმაცია საბინაო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს დადებითი მხარეები, ამასთან დაწვრილებით ილაპარაკეს მუშაობაში არსებულ ბევრ დიდ ნაკლზე, გააანალიზეს ამ ნაკლოვანებათა მიზეზები, დასახეს მათი უსწრაფესი ლიკვიდაციის ღონისძიებანი.

მიმდინარე წლის 10 თვის მუშაობის შედეგების მიხედვით საბინაო მშენებლობაში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მაგალითად, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია მხოლოდ 91 პროცენტით, განსხვავება 13,1 მილიონ მანეთს შეადგენს. გაორდატეხა არ მომხდარა არც ნოემბერში.

მშენებლობისა და სასოფლო შენებლობის სამინისტროების მეტი წილი საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები და სხვა საიჯარო ორგანიზაციები ვერ ითვისებენ საბინაო მშენებლობის მოცულობებს.

მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა დაშვებული სხვა ორგანიზაციებშიც. მაგალითად, 10 თვის შედეგების მიხედვით საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ შეასრულა 63 პროცენტით, ამ პერიოდში აუთვისებელი დარჩა დაახლოებით 400 ათასი მანეთი; საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაიმ“ — 51 პროცენტით, აუთვისებელი დარჩა 540 ათასი მანეთი; რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — 85 პროცენტით, ასათვისებელია 1,5 მილიონი მანეთი და ა. შ.

რესპუბლიკის რეგიონებს შორის საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც 10 თვის მანძილზე ათვისებულია გამოყოფილი სახსრების წლიური მოცულობის მხოლოდ 50 პროცენტი. საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების მხრივ ცუდი მდგომარეობა აქვთ აგრეთვე ფოთს, ჭიათურას, ახალციხეს, ზუგდიდსა და სხვა ქალაქებს.

თათბირზე აღინიშნა, რომ ამ ხუთწლედში საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლევანდელი პროგრამა განსაკუთრებით დაძაბულია. მობინადრეებს უნდა გადაეცეთ 1 მილიონ 88 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები. 10 თვეში გადაცემულია 669 ათასი კვადრატული მეტრი. გამოითქვა რწმენა, რომ მშენებლები შეასრულებენ საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიურ გეგმას. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად უნდა აღიკვეთოს მთელი რიგი ნაკლოვანებები.

თათბირის მონაწილეებმა თქვეს, რომ საჭიროა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ადგილებზე, რათა თავი მოუყარონ ძალებსა და სახსრებს ასამოქმედებელ ობიექტებზე, უფრო სრულად გამოიყენონ მთელი არსებული შესაძლებლობანი და რეზერვები, მოაგვაროონ საცხოვრებელი ბინების მშენებლობის მონაწილე ორგანიზაციათა ზუსტი თანამოქმედება, შეუფერხებელი მუშაობა.

მკაცრად გაკრიტიკეს ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან დაუგეგმავ მშენებლობას, იჩენენ კუთხურობას, ყოველნაირად ცდილობენ გამაძარცონ თავიანთი უხეირო მუშაობა. მაგალითად, დაგმეს ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის მუშაობა, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა ქუთაისში ბინების მშენებლობის გეგმა და ამასთანავე მიუშვა ფოთში, ზუგდიდში, რესპუბლიკის სხვა რაიონებში საცხოვრებელი ბინების მშენებლობის საქმე.

თათბირმა მოიფიქრა კატეგორიულად აიკრძალოს დაუგეგმავი ობიექტების მშენებლობა, მკაცრი პარტიული და ადმინისტრაციული სასჯელი დაადონ დამნაშავეებს.

სერიოზული ამოცანები დაუსახეს მომმართველ ორგანიზაციებს, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებს, ამიერკავკასიის რკინიგზას. „არ უნდა დავუშვათ მშენებელთა მოცდენა ამ მიზეზით, რომ მათ აკლდეთ ცემენტი, აგური, ლითონი, სანტექნიკური ნაწარმი, ლინოლეუმი, პარკეტი, ინერტული და სხვა მასალები. ასეთია დღეს ამოცანა. სრული დატვირთვით უნდა გამოვიყენოთ სამშენებელო მექანიზმები, განსაკუთრებით კოშკურა ამწეები.

სიძნელეთა დასაძლევად მასების მობილიზაციაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სოციალისტურმა შეჯიბრებამ. თვით მის ბუნებაში ხომ ჩაქსოვილია ფართო დემოკრატიული საწყისები — მშრომელთა აქტიური მონაწილეობა წარმოების მართვაში, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობა, „ვიწრო ადგილების“ აღმოფხვრაში, ყოველ სამუშაო ადგილზე მაღალი ორგანიზებულობის მიღწევისადმი მისწრაფება. თათბირმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამშენებლო ტრესტების პარტიულ კომიტეტებს და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს მოსთხოვა უზრუნველყონ ყველა პირობა კრიტიკისა და თვითკრიტიკის განსავითარებლად თითოეულ შრომითს კოლექტივში, აღმოფხვრან სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ფორმალიზმის ელემენტები, მიაღწიონ შრომითი მეტოქეობის ფართო საჯაროობას.

თათბირზე გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს მშენებლები დაძლევენ სიძნელეებს და პირნათლად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობას.

თათბირის შედეგები შეაჯამა ამხ. გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

წინ, ახალი გამარჯვებისაკენ!

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“. ახალი საპროგრამო დოკუმენტის გაცნობილვაში ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. „კომუნისტის“ რედაქციაში ყოველდღე მოდის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკთა, მეცნიერთა, სპეციალისტთა საქმიანი წერილები, წინადადებები, შენიშვნები. ეს ნიშნავს, რომ პარტიის მოწოდებას ყველა მშრომელი გულმხურვალედ გამოეხმაურა, რადგან იციან, რომ საქმე ჩვენი ქვეყნის დიდ მომავალს ეხება.

ჩვენი რესპუბლიკის ადამიანები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამაყობენ, რომ მათ თავდადებულ, ენერგიულ შრომას, შემოქმედებითს ინიციატივას, მუშაობა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ნებისა და მოქმედების ერთიანობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპყავ შესანიშნავი შედეგები, წარმატებით შესრულდა მეათე ხუთწლედის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის დიდ მოზაფხულისწინათ მიხედვით შეიმუშავა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ. ამ დიდი, ჩვენი რესპუბლიკის ისტორიისათვის პატარა მონაკვეთში — მეათე ხუთწლედში, ჯერ არნახული წარმატებების მოპოვებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიესალმებაში ვკითხულობთ:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად ულოცავს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ყველა მშრომელს შესანიშნავ შრომითს წარმატებებს და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელნი განამტკიცებენ მიღწეულ შედეგებს და კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლებენ წარმოების ეფექტიანობისა და მთელი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეეგებიან სკკპ XXVI ყრილობას“.

ხალი და დიდება ყველას, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური საქართველოს მატერიალური და სულიერი დოვლათის გამრავლებაში, დიდ აღმასვლაში!

მეათე ხუთწლედი წარმოების ახსოლუტური მატებით უმნიშვნელოვანესია ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში. მას ბადალი არა აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრების გაუჯობესებასთან, მათი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული სოციალური ამოცანების გადაწყვეტის მასშტაბით. ეს იმიტომ, რომ ჩვენი პარტია და სახელმწიფო სულ უფრო მეტ ზრუნვასა და ყურადღებას იჩენენ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის განმტკიცებისადმი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისადმი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების მიხედვით, ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ღონისძიებები იყო დასახული. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე თქვა:

„როცა ჩვენს მომდინარე და ხანგრძლივ გეგმებს ვადგენთ მომავალ ყრილობამდე და უფრო შორეული პერსპექტივებისათვის მუშაობის პროგრამას ვსახავთ, უნდა ვგრძნობდეთ უდიდეს პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე, ისტორიის წინაშე, ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე.

ჩვენ ხომ ვკისრულობთ პასუხისმგებლობას (რადგან ჩვენ ერთადერთი მმართველი პარტია ვართ) ხუთწლედების, ათწლეულების, მთელი თვალსაწიერი მომავლის მანძილზე ახალ-ახალი თაობების ცხოვრების შინაარსისა და აზრისათვის.

ჩვენ, კომუნისტები, არ უნდა ვცდებოდეთ. ჩვენ უნდა ვპოულობდეთ ერთადერთ სწორ, მეცნიერულ, ოპტიმალურ გზებს. ეს ძნელია, მაგრამ ასეთია ჩვენი ბედი. სხვა ბედი არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს!

დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს მომავალში სწორედ ასეთი გზა, ერთადერთი შესაძლებელი, ყველაზე მეცნიერული, ყველაზე ოპტიმალური გზა მეათე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმაა, რომელიც ჩვენმა ბრძენმა დიდმა ლენინურმა პარტიამ დაგვიხატა. ჩვენი რესპუბლიკის მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია, ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების დარგში ჩამორჩენის საბოლოო დაძლევის და მოწინავე პოზიციებზე რესპუბლიკის გასვლის ხუთწლედია! ასეთია ამოცანა! და ეს ამოცანა უნდა გადაწყვიტოთ! კომუნისტების სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს“.

...და აბა, შეეძლო თუ არა ხუთწლედის ძირითადი მაჩვენებლები, აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკის მეათე ხუთწლედში მართლაც დაუძლევია ეკონომიკისა და სოციალურ დარგში ჩამორჩენა და ერთგვარ პოზიციებზე გასულა, რესპუბლიკის კომუნისტთა ოცდამეხუთე ყრილობაზე დასახული რთული ამოცანა წარმატებით გადაწყდა. დიდებას, საქართველოს კომუნისტების სიტყვა და საქმე ერთია, მეათე ხუთწლედი გამარჯვების ხუთწლედია!

საბრეწველო პროდუქციის მოცულობა, — ნათქვამია საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის პატაკში, — გაიზარდა 40 პროცენტით, დავალების შესაბამისად კი ხუთწლედის ბოლოსათვის 37-41 პროცენტით უნდა გაზრდილიყო. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 700 მილიონ მანეთის პროდუქცია. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 8 ათასზე მეტი სატვირთო ავტომობილი, 260 ათასი ტონა მანგანუმი, 2,5 მილიონი ტონა ნავთობი, აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობის სახალხო მოხმარებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი.

მეათე ხუთწლედის ბოლო წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ შესანიშნავი ტრადიცია დაამკვიდრეს — ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადამეტებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ჩვენი ქვეყნის პიმნის მანგებზე გამარჯვებული კოლექტივების პატივსაცემად აღიმართება ხოლმე რესპუბლიკის დროშა.

დიდ წარმატებას მიაღწიეს „თბილისმეტრომშენის“, ჭიათურის სამთამადნო კომბინატის, საწარმოო გაერთიანების „საქსამოქალმრეწვის“ კოლექტივებმა, კვების მრეწველობისა და დამზადების სამინისტროების კოლექტივებმა, რესპუბლიკის მეჩაიეებმა, მევენახეებმა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მათ პატივსაცემად გაიმართა მატიანეები და აღიმართა საქართველოს სსრ დროშა. ხუთწლედის მოწინავეთა ავანგარდში არიან ჩვენი სახელოვანი თბილისელი მშრომელები, კომუნისტები, რომლებმაც უკვე 12 სექტემბერს უპატაკეს სამშობლოს სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის ხუთი წლის დავალების შესრულება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეჩაიეთა და მევენახეთა წარმატებანი მეათე ხუთწლედში. მეჩაიეებმა ხუთწლედის ბოლო წლისათვის გათვალისწინებულ მიჭნას პირველსავე წელს მიაღწიეს, ხოლო წელს, გაზაფხულზე, ხუთწლიანი დავალება გადამეტებით შეასრულეს. სულ ხუთ წელიწადში ნაცვლად 2.080.000 ტონისა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.155.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ვადამდე შეასრულეს დავალება მევენახეებმაც, ხუთწლედში ნაცვლად 2.620.000 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.649.000 ტონა ყურძენი. ხუთწლედის მეხუთე წელი მეჩაიეებისა და მევენახეებისათვის რეკორდული იყო, მეჩაიეებმა ნახევარმილიონიანი, ხოლო მევენახეებმა 800 ათასტონიანი მიჭნები დალაშქრეს.

დიდი და საამაყო წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მშრომელებმა, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო სრულად გამოვლინდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის შესაძლებლობანი და შემოქმედებითი ძალები, რამაც გაამდიდრა და გააძლიერა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა. ჩვენი წარმატებების ხიდიდე კომუნისტურ მშენებლობაში ახალ-ახალი ფორმებისა და მეთოდების დადგენა და მუშაობაში ლენინური სტილის დამკვიდრება იყო, არის და იქნება!

მეათე ხუთწლედის დავალებანი კომპლექსურად, გადამეტებით სრულდება. სულ მალე ისტორიის კუთვნილება გახდება ბრძოლისა და შრომის, დიდად აღმშენებლობათა განვლილი ხუთი წელი. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, წინ დიდი სამუშაო გვაქვს. ნოემბერში გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პარტიის ყრილობისწინა პერიოდში ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება, რაც რეალურ მატერიალურ საფუძველს შეუქმნის საქართველოს შემდგომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას 1981 წელს და მეთერთმეტე ხუთწლედში. იდეოლოგიურ მუშაობაში თვისებრივად ახალი ეტაპი დგება, თქვა მან, როცა გამოქვეყნდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის“, რომელიც გამოტანილი იქნება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ამოცანა ახლა ის არის, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტის შესწავლა და განხილვა ყველა პარტიულ ორგანიზაციაში კონკრეტული, საქმიანი სახეობისა იყოს.

მაშ ახლ, ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტებო, ჩვენო სახელოვანო მშრომელებო, მეათე ხუთწლედის მიჯნები დალაშქრულია, თავისუფლად შეგვიძლია ამ ხუთწლედს გავარჯვების ხუთწლედი ვუწოდოთ! სკკპ XXVI ყრილობის წინ რესპუბლიკის კომუნისტებმა, საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პარტიას „აღუთქვა, რომ საქართველოს კოდუნისტები, მთელი ჩვენი ხალხი ფზად არიან მთელი ძალ-ღონე, მთელი ენერგია, მთელი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ პარტიის ეკონომიკურ-სასახელოგათა განხორციელებას, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, დიდი ლენინის საქმეს“.

ნარინჯოვანთა ბაღებში

ხუთწლედი შესრულდა, ხუთწლედი გრძელდება

ურეკელ მეციტრუსეებს გადაწყვეტილი აქვთ წლეულს 1.410 ტონა ნარინჯოვანთა ნაყოფი მიხცენ სამშობლოს. ამ პირობის შესასრულებლად ყველა ბაღში მუხლჩაუხრელი შრომაა გაჩაღებული. მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, მეციტრუსეები ყოველდღე 40-50 ტონა ნაყოფს კრეფენ.

სურათზე: მახარაძის რაიონის ურეკის საბჭოთა მეურნეობის პარტიბიუროს მდივანი ნოდარ ღლონტი (მარჯვნიდან) ამოწმებს კომკავშირელების ირინე (მარჯვნიდან) და გია თავართქილაძის მიერ მოკრეფილი მანდარინის ხარისხს.

ზ. სამსონიას ფოტო.

მოდის ქვანახშირის ნაკადი

ლაკობას სახელობის შახტა-სამმართველოს მშრომელთა პატრიოტული ინიციატივა — თითოეული საწმენდი სანგრევიდან ცვლაში ამოიღონ 10-10 ვაგონეტი ზეგეგმითი ქვანახშირი—მოიწონა ტყვარჩელის ყველა მაღაროელმა. თაოსნობის ინიციატორების მაგალითისამებრ ორი ათასზე მეტი მაღაროელი ერთმანეთს ეჯიბრება შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისათვის.

ქვანახშირის მომპოვებლები და მთის გვირაბგამყვანები, მეშახტეები, რომლებიც შეეჭიდროებული გრაფიკით მუშაობენ, ეძებენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დამატებით რეზერვებს. სამთო ოსტატებმა, ტექნიკოსებმა და ინჟინრებმა მნგრეველებთან თანამშრომლობით შეიმუშავეს ოდესაც მიტოვებული ქვანახშირის ძველი ლავების მთელანების დამუშავების, მექანიზმთა მაქსიმალური დატვირთვის, ვარგისი სამაგრი ბიგების ხელმეორედ გამოყენების რაციონალური მეთოდები.

ამ დღეებში მეშახტეებმა სამობლოს უპატაკეს მეათე ხუთწლედის პროგრამის შესრულება ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. მათ გადაწყვიტეს დავალების დამატებით წლის დამლევამდე მოიპოვონ სულ ცოტა 75 ათასი ტონა სათობრი. ქვანახშირის ამ ნაკადის სათავეებთან ვგულისხმობ სახელოვანი მეშახტეები — ლეონტი ტყვიბუჩავა, ანატოლი აკიბა, ვარლამ ხინთბა, ლევან კურტანიძე, ალექსი ნიკონიუკოვი და სხვები.

ზეგეგმითი პროდუქცია

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სამკერავლო გაერთიანების კოლექტივმა ჯერ კიდევ 6 ოქტომბრისათვის შეასრულა ხუთწლედის გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით. აქაური მკერავთა ნახელავი მოსწონს მომხმარებელს. გაერთიანების ნაწარმი ჩვენი ქვეყნის ოთხმოცამდე სავაჭრო ცენტრს ეგზავნება.

სამკერავლო გაერთიანების კოლექტივი მიღწეულს როდი სჯერდება. მან გადაწყვიტა წლის ბოლომდე გეგმის პროდუქტებით 3 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვას.

მუშენებელთა ნობათი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევენ ზუგდიდის № 26 მოძრავ-მექანიზებული კოლონის (უფროსი — მ. ხასია) კოლექტივი. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მშენებლებმა 486,6 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს.

მშენებელთა ეს წარმატებები შრომის სწორმა ორგანიზაციამ, მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობამ, ზლობინის მეთოდის დანერგვამ, ახალი რეზერვების ამოქმედებამ, მშენებლობის ვადების დაცვამ, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის ამაღლებამ, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებამ განაპირობა.

განვლილ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა 40 ობიექტი, მათ შორის ორულუს მეცხოველეობის კომპლექსი, 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ცაიშის ჩაის ფაბრიკა და სხვა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი საქართველოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი საქართველოში დასასვენებლად ყოფნისას ეწვია რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებს და საქართველოს დედაქალაქ თბილისს. მან დათვალიერა კახეთის მევენახეობის რაიონები, კუმისის მებოცვრეობისა და თელეთის ექსპერიმენტული მეცხოველეობის კომპლექსები, გარდაბნის რაიონის გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკა, ოჯახში ესტუმრა ამ ფაბრიკის მუშაკს ს. კოტორაშვილს, რომელიც რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მეფრინველეობის კოპერირების ერთ-ერთი ინიციატორი გახდა, — იყო სიღნაღის რაიონის წნორის სახორცე მესაქონლეობის კომპლექსში, გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენის ბალახის ფხვნილისა და კომბინირებული საკვების საწარმოებში. ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო ამ რაიონების ღირსშესანიშნაობებს, ნახა გურჯაანის დიღვინის მემორიალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის მუზეუმი.

თბილისში ყოფნისას ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა დაათვალიერა მისი ახალმშენებლობანი, ქეცილა ქალაქის რესტავრირებული ნაწილი, გაეცნო „თბილისსილმბოსტანავაჭრობის“ უნიკალური მაღაზიის მუშაობას, იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, სადაც დათვალიერა სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის პავილიონები. ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი ეწვია აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს, ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს, ჩაის სახლს, მთაწმინდის პანთეონს.

ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი შეხვედა მშრომელთა კოლექტივებს, ესაუბრა მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, მიუღოცა მათ მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმების მიღება. მან აღნიშნა რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებანი საყოფილ შეჯიბრებაში, გამოიკითხა როგორია მათი ცხოვრებისა და შრომის პირობები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა საქართველოს მიღწევები რესპუბლიკის ყველა მშრომელის თავდადებული მუშაობის, იმ მიზანდასახული, უნარიანი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის შედეგია, რომელსაც თანამიმდევრულად ეწევიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ორგანოები, რათა ხორცი შეასხან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცხობილ დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე მიღებულ სხვა გადაწყვეტილებებს.

რესპუბლიკის მშრომელებთან და ხელმძღვანელებთან საუბრისას მ. ს. გორბაჩოვმა მთავარი ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების, შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში მისი ეკონომიკური პოტენციალის გადიდების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საკვანძო პრობლემებს.

ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ამოცანებს, რომლებსაც პარტიისა და ხალხს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მუშაკებს უსახავს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყურადღებო პროექტი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, სადაც უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ამ დარგის განვითარებას, როგორც პარტიის მთავარი ეკონომიკური პოლიტიკის — საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. კერძოდ, აღინიშნა, თუ რაოდენ აქტუალურია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის ministrთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების შემდგომი გადიდების შესახებ. „ურადღება მიექცა იმას, რომ საჭირო სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია მევენახეობაში, მეჩაიეობაში, სუბტროპიკულ მეხილეობაში.

შეეხო რა რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარებას როგორც სასურსათო პროგრამის დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა დადებითი შეფასება მისცა ამ დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანისათვის მიმდინარე მუშაობას, კერძოდ, მან აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს მუშაობას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის, რომელსაც ეწევიან ინტენსიფიკაციისმენტალური მეცხოველეობისა და წნორის სახორცე მესაქონლეობის კომპლექსებში ხორცეთა და რძით რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშ

პარტიულ კონფერენციებზე

ფოლადივით მტკიცე სიტყვა

მსჯელობენ ინიციატორი კომუნისტები

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა საამქროების, ქალაქ რუსთავის, რესპუბლიკური და საკავშირო ორგანიზაციების მუშაობის თაობაზე 400-ზე მეტი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება გამოთქვეს. მათი უმეტესობა ოპერატიულად გადაიჭრა, ხოლო დანარჩენი შესწავლისა და გადაწყვეტის პროცესშია.

სწორედ ეს აღნიშნა უპირველესად საწარმოს პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაციის XXII კონფერენციაზე მომხსენებელმა, ამავე საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. ბაქრაძემ. მან თქვა, რომ საანგარიშო პერიოდში საქარხნო პარტიული ორგანიზაციის მხედველობის არეში იყო ქარხნის ცხოვრების ყოველი მხარე, პარტიული კომიტეტი საგნობრივად მუშაობდა ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხებზე, მკაცრ კონტროლს უწევდა მათს შესრულებას. ამიტომაც იყო, რომ წინა პარტიულ კონფერენციაზე დასახულ ღონისძიებათა დიდი უმეტესობა დღეისათვის (რეალიზებულია.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში ქარხნის პარტიული კომიტეტის ყურადღების ცენტრში იყო კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხი. პარტიული კომიტეტის სხდომებზე ხშირად ისმენდნენ გაწეული მუშაობის თაობაზე ხელმძღვანელ კომუნისტ მუშაკთა ანგარიშებს, პარტიული კონტროლის კომისია და პენსიონერ კომუნისტთა შტატგარეშე აქტივი რეგულარულად აკონტროლებდნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მსვლელობას და ეს საკითხი პარტიული კომიტეტის სხდომების განსახილველად გამოჰქონდათ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ, თუმცა დისციპლინის განმტკიცების საქმეში მეტალურგებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ გასაკეთებელი ამ მხრივ კიდევ ბევრია. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რკინიგზის, ქანგბადის, მილსაგალინავ და ზოგიერთ სხვა საამქროში გაბნშირდა გაცდენები, იკარგება კაცდღეები. და, რაც განსაკუთრებით არასასიამოვნოა, თქვეს მათ, დისციპლინა მოიკოჭლების თვით მარტენის საამქროშიც, იმ უბანზე, რომლის კოლექტივმაც მისცა დასაბამი პატრიოტულ თაოსნობას დევიზით: „არც ერთი ჩამორჩენილი და ულისციპლინო — ჩვენ გვერდით!“

კიდევ უფრო ცუდია ის, რომ კომუნისტები, რომლებიც თვითონ უნდა იყვნენ სამაგალითნი, არღვევენ პარტიულ, სახელმწიფო დისციპლინას, სოციალისტურ კანონიერებას, რისთვისაც საანგარიშო პერიოდში სკკპ რიგებიდან 10 კაცი გაირიცხა. ამ უსიამოვნო ფაქტიდან სერიოზული დასკვნები გამოიტანონ საწარმოს პარტიულმა კომიტეტმა, თითოეულმა კომუნისტმა.

ქარხანაში დიდი ყურადღება ექცევა კადრების შერჩევისა და განაწილებას. პარტიული კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის გადაწყვეტილებებით, მრავალ ღონისძიებას ახორციელებს კადრებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქარხანაში მომზადდა 2 ათასი ახალი მუშა, კვალიფიკაცია აიმაღლა 3 ათასმა კაცმა, მეორე პროფესიას დაეუფლა 1500-ზე მეტი მეტალურგი. მარტალია, ძველი მუშები ქარხანას შედარებით იშვიათად ტოვებენ, მაგრამ ახლებზე ამას ვერ ვიტყვით.

ქარხანის ადმინისტრაცია, თქვეს კონფერენციის მონაწილეებმა, სათანადოდ რომ ზრუნავდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის მთლიანი და განუტრელი განხორციელებისათვის, კადრების დენდობასთან დაკავშირებული პრობლემები ასე თუ ისე მოგვარდებოდა. ეს ნაკლი იმაზეც მეტყველებს, რომ მუშაობა უნდა გაუმჯობესოს ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიამ.

საანგარიშო პერიოდში პარტიული კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევდა პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

ამჟამად საწარმოში მოქმედებს 262 პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების წრე, რომლებშიც 4500 კომუნისტი და უპარტიო ამხანაგი გაერთიანებული. ამ მუშაობას ხელმძღვანელობს 520 პროპაგანდისტი, რომელთა დიდი უმეტესობა პარტიის წევრი ან წევრობის კანდიდატია. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროპაგანდისტთა თვისებრივი შემადგენლობაც, რომელთა 95 პროცენტმა უკვე დაამთავრა ან ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს.

მაგრამ ამასთანავე ითქვა, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. საანგარიშო პერიოდში მარტენის, საბრძმედე და ზოგიერთ სხვა საამქროში ფორმალურად უდგებოდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებას, იყო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებიც.

საანგარიშო პერიოდში ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეული მთელი მუშაობის უმთავრესი მიზანი იყო წარმოების ეფექტიანობის, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლება, სახელმწიფო გეგმების უთიო შესრულება, ამ მიზნით შრომითი კოლექტივების დარაზმვა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? როგორც გამოირკვა, არც მთლად სახარბიელო, რადგან მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ათი თვის გეგმა კი შესრულდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი. ამ ხნის განმავლობაში ქარხანამ ვერ უზრუნველყო 36,2 ათასი ტონა აგლომერატის, 26,5 ათასი ტონა თუჯისა, 75 ათასი ტონა ფოლადის, 42,5 ათასი ტონა ნაგლინის და 12 ათასი ტონა მილების გამოშვება, არც ელექტროენერგიის გამომუშავების დავალებაა რეალიზებული.

საწარმოს მუშაობის ამ ნაკლზე გაამახვილეს ყურადღება კამათში გამოსულმა კომუნისტებმაც — რკინიგზის მანქანის თბომავლის მემანქანემ ა. გელაშვილმა, მილსაგლინავი საამქროს უფროსმა რ. თხელიძემ, საგლინავი საამქროს პარტბიუროს მდივანმა ზ. რუსაძემ, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ბარბაქაძემ, ქარხნის მთავარმა ეკონომისტმა ვ. პალიმ, ფასონურ-სამსხმელო საამქროს ოსტატმა ზ. ლაცაბიძემ, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირის თავმჯდომარემ გ. სალპეტერმა, საგლომერაციო საამქროს ზეინკალმა მ. მარკოსიანმა, ქარხნის დირექტორმა ო. სულადმ, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. ლობჟანიძემ, ტექნიკურმა კონტროლიორმა ვ. აფციაურმა და სხვებმა.

მათ მკაცრად გააკრიტიკეს საგლომერაციო, საბრძმედე და მარტენის საამქროთა კოლექტივები, რომელთა არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ თავის მხრივ საგლინავი, მილსაგლინავი და სორტსაგლინავი საამქროების რიტმული მუშაობას შეუშალა ხელი. საყვედური გამოითქვა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მიმართ, რომლის ხელმძღვანელობა ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ცუდად ზრუნავს საქარო მასალებით ქარხნის მომარაგებისათვის. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მარტო მიმდინარე წლის ცხრა თვეში სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 3,8 მილიონი მანეთით გაძვირდა. მართალია, ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში საწარმოს მოგებამ 15 მილიონი მანეთი შეადგინა, მაგრამ ასეთი მიღწევა მიმდინარე წლის 9 თვეში „მთანთქა“. ამ პერიოდში საწარმომ 7 მილიონი მანეთი იზარალა. შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებებს ვერ ასრულებენ კოქს-ქიმიური, საბრძმედე, ფურცელსაგლინავი, რკინიგზისა და ზოგიერთი სხვა საამქრო. თებერვლის შემდეგ საწარმოს მუშაობას გაზისა და მაზუთის არასტაბილური მიწოდება აფერხებდა. ეს სწორია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საბრძმედე, მარტენის, საგალომერაციო, საგლინავი და ფურცელსაგლინავ საამქროებში მომზადარა ავარიებმა მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

კონფერენციაზე კამათში გამოსული ყველა კომუნისტი აღნიშნავდა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მათი სამოქმედო პროგრამა გახდა, რომ ისინი ახლა ყოველდღიურად ხელმძღვანელობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმის გადაწყვეტილებებით. კონფერენციაზე გამოსულმა დელეგატებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ უთუოდ აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს, ყველაფერს იღონებენ მოშავალი წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად, დაუბრუნებენ ქარხანას მოწინავის სახელს, შეუნელებლად იბრძოლებენ შრომის და საწარმოო დისციპლინის გამტკიცებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

კონფერენციამ აირჩია ქარხნის პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XXIII კონფერენციის დელეგატები.

ზ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მექანიზატორთა ღირსშესანიშნავი-ლოვანი საზრუნავი

